საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს ფრაქცია

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლუკა ასათიანის 37

05/09/2023
N 09-02-16/514

514-09-02-16-2-202309051641

აჭარის ა.რ ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრს
ბატონ ჯაბა ფუტკარაძეს

ასლი: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ არჩილ ჩიქოვანს

ასლი: აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს
ასლი: ს.ს.ი.პ ბათუმის ბულვარის ადმინისტრაციას

სადეპუტატო კითხვა

როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა ანბანის კოშკის ირგვლივ ტერიტორიაზე განთავსებულია ათეულობით უსახური ჯიხური, ეკუთვნის ჩინეთის მოქალაქეს. ჯიხურებით ათვისებულია საოცრებათა მოედანი, რაც შეუსაბამოა მიმდებარედ არსებულ ძეგლთან. აღნიშნულ პირს/პირებს ჯიხურები ასევე გაცემული აქვს ქვეიჯარით, სხვა პირებზე 15 000 ლარად. ჯიხურების მიმდებარედ უკანონოდ უკრძალავენ მოქალაქეებს სკუტერებით, ველოსიპედებით გადაადგილებას.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-15 მუხლის პირველი პუნქტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 126-ე მუხლის შესაბამისად გთხოვთ მოგვაწოდოთ:

1. რა მიზნით მოხდა ტერიტორიის იჯარით გაცემა. როცა ეს იყო საზოგადოებრივი სივრცე, მიმზიდველი ადგილი, რომლითაც სარგებლობდნენ როგორც ბათუმელები ასევე ჩამოსული ტურისტები. რეალურად საოცრებათა მოედანი გადაიქცა უსახური ჯიხურების ქალაქად, სადაც გავლაც კი შეუძლებელია სიმჭიდროვის, უკანონოდ დაწესებული აკრძალვების, არსებული ანტისანიტარიისა და სხვა მიზეზების გამო;
2. დოკუმენტების ასლები, რომელიც დაკავშირებულია ანბანის კოშკის მიმდებარედ ტერიტორიის იჯარით/სარგებლობით გადაცემასთან დაკავშირებით, მათ შორის შემოსული და გასული წერილები, ხელშეკრულებები, შეთანხმებები, იჯარის/ავანსის გადახდის დოკუმენტები, უწყების მიერ კანონის დარღვევასთან დაკავშირებით გატარებული რეაგირების ღონისძიებების ამსახველი და სხვა ნებისმიერი დოკუმენტი;
3. ანბანის კოშკის იჯარით სარგებლობასთან დაკავშირებით გაფორმებული ხელშეკრულების, მასში შეტანილი ცვლილებების, იჯარით გაცემასთან შემოსული და გასული დოკუმენტების, ვალდებულების შესრულების ან

შეუსრულებლობასთან დაკავშირებით გაფორმებული, იჯარის გადახდისა და სხვა ნებისმიერი დოკუმენტის ასლები;

4. დოკუმენტების ასლები, რომლებიც უფლებას აძლევს მოიჯარეს დააწესოს შეზღუდვები მიმდებარე ტერიტორიაზე, შეზღუდვების უკანონოდ დაწესებასთან დაკავშირებით თქვენს მიერ გატარებული რეაგირების ღონისძიებების ამსახველი დოკუმენტების ასლები;
5. მოიჯარის მონაცემები(ს/ნ, დასახელება დამფუძნებლები და სხვა)
6. ჯიხურები გაცემულია ქვეიჯარით, შესაბამისად გთხოვთ მოგვაწოდოთ ქვეიჯარით გაცემასთან დაკავშირებით მოიჯარის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის ასევე თქვენს მიერ გაცემული თანხმობების დოკუმენტების ასლები, ქვემოიჯარეების მონაცემებთან ერთად(პირის დასახელება, ს/ნ და სხვა);
7. რამდენჯერ განხორციელდა თქვენს მიერ ტერიტორიის დათვალიერება/მონიტორინგი საიჯარო პირობების დაცვასთან დაკავშირებით და ხელშეკრულების დარღვევასთან დაკავშირებით თქვენს მიერ გადატრებული ღონისძიებების დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები;
8. გაცემულია თუ არა აჭარის ა.რ კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოს მიერ ნებართვა ძეგლზე/ძეგლის დაცვის ზონაში ჯიხურების მასიურ განთავსებასთან დაკავშირებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში გთხოვთ მოგვაწოდოთ შესაბამისი დოკუმენტების ასლები;
9. ქ. ბათუმის მერიის მიერ გაცემულია თი არა ნებართვა ჯიხურების მასიურ განტავსებასთან დაკავშირებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში გთხოვთ მოგვაწოდოთ შესაბამისი დოკუმენტების ასლები;
10. ქ. ბათუმის მერიის შესაბამისი სამსახურების მიერ განხორციელდა თუ არა შემოწმება/მონიტორინგი სანიტარული ნორმების დაცვასთან დაკავშირებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში გთხოვთ მოგვაწოდოთ შესაბამისი დოკუმენტების ასლები;

აქვე გვინდა გაცნობოთ, რომ მოწოდებული ინფორმაციით კანონდარღვევით ხდება ტერიტორიით სარგებლობა, შეზღუდვების დაწესება, შესაბამისად გთხოვთ მოახდინოთ დაუყოვნებლივ შესწავლა და რეაგირება, ასევე გთხოვთ მოგვაწოდოთ რეაგირების ამსახველი დოკუმენტების ასლები.

პატივისცემით,

ელგუჯა ბაგრატიონი

თავმჯდომარე

ფრაქცია "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"